

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/03. 30.01.2019
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
ოქმი № 02-03-06/01. 26. 01. 2019 წ

**საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

ფილოლოგია

აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი

Academic degree: Master of humanitarian science

პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:
ასოცირებული პროფესორი – ლელა კუკულაძე
ასოცირებული პროფესორი – თეა თავბერიძე

ხიჭაური 2019

1. პროგრამის სახელწოდება: ფილოლოგია
2. განათლების საფეხური: უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა
3. კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი
4. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი
5. სწავლების ენა: პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, კურსადამთავრებულს მისცეს ღრმა და ფართო განათლება, რათა მან შეძლოს წარმატებული სამსახურებრივი კარიერის შექმნა; კერძოდ, მისცეს სტუდენტს, ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნა და გააცნოს მას ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის დანიშნულება და მნიშვნელობა; განუვითაროს სტუდენტს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარი, შეასწავლოს ქართული ლიტერატურის სტრუქტურა და ისტორია, გამოუმუშაოს მაგისტრს პრაქტიკული უნარები. ხელი შეუწყოს ქართული ლიტერატურისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში. პროგრამის მიზანია, ფილოლოგიის მაგისტრს ქართული ფილოლოგიის სპეციალობით ჰქონდეს ქართული ლიტერატურის შესახებ კომპლექსური ცოდნა, რათა მან შეძლოს დასაქმება საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება. ამასთან, პროგრამის მიზანია, გამოუმუშაოს ახალგაზრდას მეცნიერული პატიოსნებისა და ღირსების შეგნება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევები, რათა მან საკუთარი შრომითა და მაღალი პროფესიონალიზმით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ჯანსაღი სამოქალაქო შეგნებისა და დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს საკატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნის მიხედვით.

8. სწავლების ფორმატი:

სწავლა წარიმართება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკულების ფორმატით.

9. სწავლების შედეგები

კრიტერიუმები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას	მაგისტრმა იცის: ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია; ქართული ლიტერატურის ჟანრები, ქრესტომათიული ტექსტები და მათი ავტორების ბიოგრაფიები; აცნობიერებს ქართული ლიტერატურის კომპლექსური საკითხების მიმართებას, ზოგადად ლიტერატურის თეორიის ძირითად პრობლემებთან, აგრეთვე, ქართული ლიტერატურის ადგილსა და როლს ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად	კურსდამთავრებული შესძლებს: ფილოლოგიური ცნებებით ოპერირებას; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავებას, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას; ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებას; ლიტერატურული ტექსტების აღწერასა და ინტერპრეტაციას. შეუძლია ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.
დასკვნის უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება	შეეძლება ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვებისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება; ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად არგუმენტირება; ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გაკეთება; ექნება პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გამოყენებით.
კომუნიკაციის უნარი	იდებულის, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება	ჩამოყალიბებული აქვს: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით და ქართული ლიტერატურული მასალის გამოყენებით; შეუძლია ქართული ლიტერატურის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაცია, როგორც სპეციალისტთა (ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ასევე არასპეციალისტთა (დაინტერესებული ჯგუფები, ფართო საზოგადოება, მედია და სხვა) წრეში; ქართული ფილოლოგიის სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; სწავლებისა და კვლევის

		პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ქართულ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება.
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა	შესწევს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი; სასწავლო მიზნით დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების მიხედვით განივითაროს შემდგომში მეცნიერული მუშაობისა თუ დასაქმების მიმართულების განსაზღვრის უნარი.
ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	კურსდამთავრებული ერკვევა და იცნობს: ეთიკის ნორმებს; აკადემიური პატიოსნების რაობას; ზრუნავს საქართველოში ქართული ლიტერატურის მნიშვნელობისა და სიწმინდის დაცვისათვის, აქვს ლიტერატურის შესწავლისათვის; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკუთრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა. ამ ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება.

10. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები:

- ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, როგორც წერიითი, ასევე ზეპირი ფორმით.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს სტუდენტის წიგნზე მუშაობას.
- ევრისტიკული მეთოდი**–ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- დემონსტრირების მეთოდი** – ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მასალა მულტიმედიური მეთოდით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შეძლება განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. შესაძლებელია მასალის ელექტრონული გზით მიწოდება.
- პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც მაგისტრს პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს უყალიბებს, სტუდენტი შეძენილი ცოდნისა და პროფესორის კონსულტაციის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობებს, როგორცაა საბუღალტრო პროგრამა „ორის ბუღალტერია“, პრეზენტაციის მომზადება,

სტატისტიკური დაკვირვების ჩატარება, ანალიზური ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და ა.შ.

6. ინდუქცია, დედუქცია

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
 - სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
8. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
 9. **ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდი** – გულისხმობს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
 10. **ვერბალური მეთოდი ანუ ზეპირი მეთოდი.**
 11. **სიტუაციის მოდელირების მეთოდი.**
 12. **წიგნზე მუშაობის მეთოდი**
 13. **წერითი მუშაობის მეთოდი**

11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

1. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
2. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
 1. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს და ა.შ. არ შეიძლება სტუდენტის შეფასება, მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის გამოყენებით.
 5. შუალედური შეფასება მოიცავს:
 - ა) შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც, „ტბელის უნივერსიტეტი“-ს ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს კონკრეტული საგნის მასწავლებელი, რაც აისახება ამავე სასწავლო კურსის შეფასების აღწერაში;
 - ბ) მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერითი (*წერითი დავალება, ტესტი, სიტუაციური ამოცანა, პრაქტიკული/თეორიული დავალება, კაზუსი და სხვა*) და ზეპირი (*ზეპირი მოსმენა, სემინარი, პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, ზეპირი მოსმენის სხვა აქტივობა*) გამოკითხვების ფორმით,

გარდა წერითი და ზეპირი შეფასებისა, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

2. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:
 - ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;
 - ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.
3. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს კომბინირებული, წერითი ან ზეპირი ფორმით. კომბინირებულ გამოცდაში თანაბრად (50/50-ზე) დაცული უნდა იყოს წერითი და ზეპირი ნაწილების ხვედრითი წილი.
4. თუ შეფასებას რამდენიმე გამომცდელი ახდენს, საბოლოო შედეგი მათი შეფასებების საშუალო არითმეტიკულია.
5. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.
6. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
7. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

დადებითი შეფასებები:

 - ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
 - ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
 - გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71- 80 ქულა;
 - დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
 - ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

 - ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ზ) F-0 - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.
8. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
11. სტუდენტის გამოცდაზე შეუფასებლობის საფუძვლებია:
 - ა) დანიშნულ გამოცდაზე არასაკმარისი მიზეზით გამოუცხადებლობა ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
 - ბ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან ჩანაწერების (ე.წ. „მპარგალკა“) გამოყენება;

გ) გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა, შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, დეკანის თანხმობის შემთხვევაში.

მაგისტრატურის დამამთავრებელ, მეოთხე სემესტრში, სტუდენტს უფლება აქვს კვლევით კომპონენტთან – სამაგისტრო ნაშრომთან ერთად დაარეგისტრიროს „F-0“ (ჩაიჭრა) შეფასების მქონე საგანი, თუ ერთ სასწავლო წელში ასათვისებული კრედიტების ჯამი არ აღემატება 75 კრედიტს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ერთ სასწავლო წელში ასათვისებული კრედიტების ჯამი აღემატება 75 კრედიტს, მაშინ სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, მაგრამ ნაშრომის დაცვის შესაძლებლობა მიეცემა, მხოლოდ მას შემდეგ რაც დაფარავს ყველა სასწავლო კომპონენტში არსებული აკადემიურ დავალიანებებს.

12. სასწავლო გეგმა იხ. დანართი 1.

13. სწავლის შედეგების რუკა იხ.: დანართი 2.

14. პროგრამის ადამიანური რესურსი:

1. **ლელა კუკულაძე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი. ასოცირებული პროფესორი („ვეფხისტყაოსნის“ ტექსტობრივი ანალიზი; ქართული მწერლობა და ფოლკლორი; ვაჟა-ფშაველას ეპიგრაფიკა; გალაკტიონოლოგია;)
2. **თეა თავგერიძე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (ქართული ჰაგიოგრაფია; ქართული ჰიმნოგრაფია; ქრისტიანული სახისმეტყველება)
3. **გურამ ბახტაძე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი (აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება; ქართული რეალიზმი; ილიას ცხოვრება და შემოქმედება; ქართული რომანტიზმი)
4. **ნანა ტრაპაძე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა და ქართული მწერლობა; ლიტერატურული კრიტიკის ტერმინოლოგიური აპარატი; ევროპული ლიტერატურის სისტემური და შედარებითი ანალიზის პრობლემები;)
5. **მანანა თავდგირიძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ტენდენციები; ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში)
6. **ხათუნა ხალვაში** - განათლების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის განათლებაში).
7. **შოთა როდინაძე** - **შოთა როდინაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; (ინგლისური ენა).

15. მატერიალური რესურსები: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების პრეზენტაცია შესაძლებელია პროექტორის გამოყენებით, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელის რესურსები.

სასწავლო გეგმა												
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
	სპეციალობის ძირითადი საგნები	80										
1	ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში	5	125	13	14	1	2	95	5			
2	ქართული რომანტიზმი	5	125	13	14	1	2	95		5		
3	ქრისტიანული სახისმეტყველება	5	125	13	14	1	2	95	5			
4	XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ტენდენციები	5	125	13	14	1	2	95			5	
5	ქართული ჰაგიოგრაფია	5	125	13	14	1	2	95	5			
6	ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი - 1	5	125	13	14	1	2	95	5			
7	ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი - 2	5	125	13	14	1	2	95		5		
8	ინგლისური ენა ზოგადი კურსი - 1	5	125	13	14	1	2	95	5			
9	ინგლისური ენა ზოგადი კურსი - 2	5	125	13	14	1	2	95		5		
10	ქართული რეალიზმი	5	125	13	14	1	2	95		5		
11	ქართული მწერლობა და ფოლკლორი	5	125	13	14	1	2	95			5	
12	აკაკის ცხოვრება და შემოქმედება	5	125	13	14	1	2	95			5	
13	ილიას ცხოვრება და შემოქმედება	5	125	13	14	1	2	95			5	
14	გალაკტიონოლოგია	5	125	13	14	1	2	95		5		
15	ჰიმნოგრაფია	5	125	13	14	1	2	95	5			
16	ვაჟათმცოდნეობა	5	125	13	14	1	2	95			5	
	არჩევითი საგნები	10								5	5	
17	XX საუკუნის ლიტერატურის ფილოსოფიური პარადიგმები	5	125	13	14	1	2	95				
18	ლიტერატურული ჟანრების თეორია და პოეტიკა	5	125	13	14	1	2	95				
19	ლიტერატურის სოციოლოგია	5	125	13	14	1	2	95				
20	თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის განათლებაში	5	125	13	14	1	2	95				
21	მიმდინარე ლიტერატურული პროცესები	5	125	13	14	1	2	95				
22	დასავლური ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა	5	125	13	14	1	2	95				
	სამაგისტრო ნაშრომი	30	750									30
	სულ	120	3000	234	252	18	20	1710	30	30	30	30

სწავლის შედეგების რუქა								
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ადამიანის პრობლემა ლიტერატურაში	5	+	+	+	+	+	+
2	ქართული რომანტიზმი	5	+	+	+	+	+	+
3	ქრისტიანული სახისმეტყველება	5	+	+				
4	XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ტენდენციები	5	+	+	+	+	+	+
5	ქართული ჰაგიოგრაფია	5	+	+				
6	ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი	5	+	+	+	+	+	+
7	ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი	5	+	+	+	+	+	+
8	ინგლისური ენის ზოგადი კურსი - 1	5	+	+	+	+	+	+
9	ინგლისური ენის ზოგადი კურსი - 2	5	+	+	+	+	+	+
10	ქართული რეალიზმი	5	+	+	+	+	+	+
11	ქართული მწერლობა და ფოლკლორი	5	+	+	+		+	+
12	აკაკის ცხოვრება და შემოქმედება	5	+	+	+	+	+	+
13	ილიას ცხოვრება და შემოქმედება	5	+	+	+	+	+	+
14	გალაკტიონოლოგია	5	+	+	+	+	+	
15	ჰიმნოგრაფია	5	+	+				
16	ვაჟა-ფშაველას ცოდნობა	5	+	+	+	+	+	+
17	ლიტერატურული ჟანრების თეორია და პოეტიკა	5	+	+	+	+	+	+
18	XX საუკუნის ლიტერატურის ფილოსოფიური პარადიგმები	5						
19	ლიტერატურის სოციოლოგია	5						
20	თანამედროვე გამოწვევები მასწავლებლის განათლებაში	5	+	+	+	+	+	+
21	მიმდინარე ლიტერატურული პროცესები	5	+					
22	დასავლური ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა	5	+					
23	სამაგისტრო ნაშრომი	30						